ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N70
(ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

ქალაქი ბათუმი 08 აპრილი, 2022 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „აჭარის მუზეუმი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის - თეონა ზოიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „პროვაიდერ.ჯი“ (ს.კ. 445427119)** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი - დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ასევე სსიპ აჭარის მუზეუმის ლოჯისტიკის კურატორის ლევან ჭანტურიშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ - აჭარის მუზეუმის ხელოვნების მუზეუმისთვის საკანცელარიო ნივთების შესყიდვა, კერძოდ:
CPV22800000 - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო წიგნები/ჟურნალები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები -35,85 ლარი;
CPV30100000 – საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა - 184,15ლარი;
2.2. კონკრეტული საქონლის დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და კლასიფიკატორის კოდი განისაზღვრება ფორმა #3–ით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **220 ლარი (ორასოცი ლარი).**
3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასების ცხრილით.
3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2022 წლის 16 აპრილამდე პერიოდი.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ხ. ახვლედიანის ქ. N4.

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
5.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
5.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად (წერილობით ან ზეპირი სახით) აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის თაობაზე წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელის იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

7.3. 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს საამისო უფლებამოსილების მქონე პირი.

8.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.

8.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება
და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუდებელ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. თანმდევი მომსახურება

14.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეინახოს მიწოდებული საქონელი შემსყიდველის მოთხოვნამდე შეფუთვაზე (ტარაზე) მითითებული წესის სრული დაცვით.

14.2. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის საქონლის ღირებულებაში.

15. სხვა პირობები

15.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანებისა ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

15.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შევიდის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
15.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:		მიმწოდებელი:
სსიპ "აჭარის მუზეუმი"		შპს „პროვაიდერი.ჯი“
ბ/კ TRESGE22		ბ/კ BAGAGE22
სახაზინო კოდი: 05131105		ს/ნGE85BG 0000 0009 2993 4400
ს/კ 245 769 271		ს/კ 445 427 119
ბანკის დასახელება:		ბანკის დასახელება:
სახელმწიფო ხაზინა		სს "საქართველოს ბანკი"
დირექტორი თეონა ზოიძე		დირექტორი: სალომე კიკვაძე

Salome Kikvadze 61001050902

Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2022.04.08 17:28:50

დანართიN1

ფორმა N3

ფასების ცხრილი

#	დასახელება	CPVკოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი /ლ/	საერთო ღირებულება
1	სტეპლერი	3019720	შეკვრა	1	4,70	4,70
2	სტეპლერის ტყვია პატარა	30124400	შეკვრა	2	0,55	1,10
3	ფანქარი	30192130	შეკვრა	2	11,30	22,60
4	ფანქარი ფერადი	30192130	ცალი	1	8,70	8,70
5	ფაილი	22852100	ცალი	3	6,75	20,25
6	რვეული	22815000	შეკვრა	2	3	6
7	რვეული	22815000	ცალი	3	3,20	9,60
8	ფერადი ქაღალდი	30197610	ცალი	1	19,20	19,20
9	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი	30199720	ცალი	2	3,85	7,70
10	ჩასანიშნი ქაღალდი კოლოფში	30199720	ცალი	2	4,80	9,60
11	მაკრატელი	30190000	ცალი	2	4,45	8,90
12	ფანქარი	30192130	შეკვრა	1	24,50	24,50
13	წებო მშრალი	30190000	ცალი	12	0,70	8,40
14	დანა საკანცელარიო	30190000	ცალი	2	3,25	6,50
15	დანა საკანცელარიო	30190000	ცალი	1	4,45	4,45
16	სტეპლერის ტყვია დიდი	30124400	ცალი	2	0,85	1,70
17	კორექტორი	30192160	ცალი	3	1,60	4,80
18	კორექტორი	30192160	ცალი	1	2	2
19	მარკერი	30192125	ცალი	1	1,65	1,65
20	მარკერი	30192125	ცალი	1	1,50	1,50
21	კორექტორი თხევადი	30192160	ცალი	4	1	4
22	საშლელი -სათლელით	30192133	ცალი	2	4	8
23	სათლელი	30192133	ცალი	4	1	4
24	საშლელი	30192100	ცალი	3	0,65	1,95
25	საშლელი	30192100	ცალი	6	0,50	3
26	საშლელი	30192100	ცალი	10	0,40	4
27	კალამი	30192122	ცალი	10	1,50	15
28	კალამი	30192122	ცალი	4	0,30	1,20
29	კალმების ჩასადები ჭიქა	30192127	ცალი	2	2,50	5
	სულ: 220 ლარი (ორასოცი ლარი)					

შემსრულებელი

შპს პროვაიდერ ჯი
სალომე კიკვაძე

შემსყიდველი

აჭარის მუზეუმი
დირექტორი თეონა ხოიძე

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 08 აპრილი, 2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ **სსიპ „აჭარის მუზეუმი“**-ს მიერ **შპს „პროვაიდერ.ჯი“-სთან (ს.კ. 44542711**) 2022 წლის 08 აპრილს დადებული N70 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /თ. ზოიძე/